

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია)

FG/20 020861

ვის: ქალაქ ქუთაისის მერიას

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს კოდორი -2014-მ (ს/კ: 402033376), შემდგომში "მიმწოდებელმა" ქალაქ ქუთაისის მერიის წინაშე იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, (ქ. ქუთაისში #1 სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია, NAT200001123) მის მიერ მოთხოვნილ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით არაუმეტეს თანხაზე 10 924,60 (ათი ათასი ცხრაასოცდაოთხი ლარი 60 თეთრი) და ვკისრულობთ უპირობო, გამოუთხოვად ვალდებულებას ზემო აღნიშნული თანხის გადახდაზე "მიმწოდებლის" მიერ ქალაქ ქუთაისის მერიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე თქვენი წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე (არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

საგარანტიო უზრუნველყოფა ძალაშია 2020 წლის 23 აპრილიდან 2020 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით. საგარანტიო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე ქალაქ ქუთაისის მერიის მხრიდან აღარ მიიღება.

ეს გარანტია გაიცემა პრინციპალთან (მიმწოდებელთან) 2018 წლის 02 აპრილს გაფორმებული მომსახურების გენერალური ხელშეკრულების №GA 090/18 საფუძველზე.

გარანტი

სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპი აი ჰოლდინგი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674,
კოსტავას ქ. 67, თბილისი 0160

გენერალური დირექტორის პაატა ლომაძის და
ფინანსური დირექტორის ლევან ზუროშვილის
მინდობილი პირი,

ავთანდილ ავლოხაშვილი

თარიღი: 23.04.2020